ტენდერის აღწერილობა: კაფეტერიის მომსახურების მომწოდებელი

შპს „ჯი-თი მოტორსი“, საავტომობილო ბრენდების Jaguar, Land Rover, Ford, Suzuki, BMW, Mini-ს ოფიციალური წარმომადგენელი და იმპორტიორი საქართველოში, აცხადებს ტენდერს გამოცდილ და კვალიფიციურ მომწოდებლებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ კაფეტერიის მომსახურებას ჩვენს ფართზე/ოფიექტზე, რომელიც განლაგებულია შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, 163.**

კაფეტერია მოემსახურება როგორც კომპანიის თანამშრომლებს, ისე მის ვიზიტორებს და კონტრაქტორებს (საშუალო დღიური გამტაუნარიონობა: 200 კაცი), და უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა დიეტური მოთხოვნების შესაბამისი კერძებისა და სნექების მრავალფეროვანი მენიუ.

სამუშაოს მოცულობა: შერჩეული მომწოდებელი პასუხისმგებელი იქნება:

- განსაზღვრულ საათებში კაფეტერიის ოპერირებასა და მართვაზე
- მენიუს შექმნასა, მაღალი ხარისხის და ნუტრიციული ღირებულების საკვების მომზადებაზე
- სურსათის და სხვა მარაგების შესყიდვაზე
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნორმების, ასევე საკვების ჰიგიენური სტანდარტების შესაბამისობაზე
- კომპანიის თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის საუკეთესო მომსახურების მიწოდებაზე
- კაფეტერიის ტერიტორიაზე ჰიგიენისა და სისუფთავის ნორმების დაცვაზე
- გადახდის და ბილინგის შესაბამისი სისტემების დანერგვაზე.

მოთხოვნები:

- <u>გამოცდილება:</u> მომწოდებლებს უნდა ჰქონდეთ კაფეტერიის მომსახურების დადასტურებული ისტორია, სასურველია კორპორაციულ ან ინსტიტუციურ გარემოში.
- <u>მენიუ:</u> შემოთავაზება უნდა შეიცავდეს მრავალფეროვან მენიუს, რომელშიც გათვალისწინებულია დაბალანსებული და სპეციალური მოთხოვნების შესაბამისი კერძები (მაგ.: ვეგეტარიანული, ნახშირწყლების დაბალი შემცველობით და ა.შ.). დამატებით, აუცილებელია ფიქსირებული მენიუს ვარიანტი (სალათი, სუპი, მთავარი კერძი და ა.შ.)
- <u>ხარისხის უზრუნველყოფა:</u> მომწოდებელმა ნათლად უნდა აჩვენოს მისი პასუხისმგებლობა კვების ხარისხის, ჰიგიენისა და უსაფრთხოების სტანდარტების მიმართ, მათ შორის სერტიფიკაციის ან სათანადო რეგულაციებთან შესაბამისობის გზით.
- <u>პერსონალი:</u> დასაქმებულთა რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს საჭიროებებს და უნდა იყოს კვალიფიციური, როგორც საკვების მომზადების, ისე მომსახურების და დასუფთავების მოვალეობების მიმართულებით.
- <u>ფასები:</u> ფასი უნდა იყოს კონკურენტუნარიანი, როგორც კერძების, ისე მომსახურებისთვის
- <u>მდგრადობა:</u> უპირატესობა მიენიჭება მომწოდებლებს მდგრადი გარემოსდაცვითი პოლიტიკით, როგორიცაა ადგილობრივი პროდუქტების შეძენა და საკვების ნარჩენების მინიმიზაცია.

შემოთავაზების შემოტანის წესები: დაინტერესებულმა მომწოდებლებმა უნდა გამოგზავნონ შემოთავაზება: 01.08.2026-მდე შემდეგ საბუთებთან ერთად:

- ინფორმაცია კომპანიის შესახებ შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი საბუთებით
- სამეწარმეო ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ;

- შემოთავაზებული მენიუ ფასებისა და კვებითი ღირებულების მონაცემებით
- ინფორმაცია პერსონალის შესახებ, მათ შორის კვალიფიკაციის, მოსამზადებელი/საჭირო პროგრამების და სერტიფიცირების შესახებ, მაგ.: ცნობა ჯანმრთელობის შესახებ და ა.შ.

- შესაბამისობის დოკუმენტაცია (ლიცენზიები, ნებართვები, კვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სერტიფიკატები)
- ფასთა სტრუქტურა და გადახდის პირობები
- ნებისმიერი სხვა დამატებითი მომსახურება ან სარგებელი

შეფასების კრიტერიუმები: შემოთავაზებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- გამოცდილება და საქმიანობის ისტორია (20%)
- მენიუს მრავალფეროვნება და ხარისხი (25%)
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობა (20%)
- ფასები და მისი შესაბამისობა მომსახურებასთან (30%)
- მდგრადობის პოლიტიკა (5%)

ვადები:

- ტენდერის გამოცხადების თარიღი: 24.07.2026
- შემოთავაზების შემოტანის ბოლო ვადა: 01.08.2026
- მომწოდებლის შეფასება და შერჩევა: 03.08.2026-05.08.2026
- ხელშეკრულების ძალაში შესვლა: 01.09.2026

საკონტაქტო ინფორმაცია: შეკითხვებისა და შემოთავაზების შემოტანისთვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ ზურაბ გოგბერაშვილს - +995 595 366 161

სატენდერო შეთავაზება მიიღება შემდეგ ელფოსტის მისამართზე: **vacancy@gtmotors.ge**

დამატებითი ინფორმაცია:

- ტენდერში გამარჯვებული კომპანია გათავისუფლებული იქნება იჯარის გადასახადისგან და პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ კომუნალურ გადასახედებზე.
- ვიზიტი ფართის სანახავად შესაძლებელია მოთხოვნისამებრ - მოთხოვნა გამოაგზავნეთ Vacancy@gtmotors.ge.
- ჯი-თი მოტორსი იტოვებს უფლებას მიიღოს ან უარი თქვას ნებისმიერ ან ყველა შემოთავაზებაზე
- შერჩეულმა მომწოდებელმა ოფიციალური ხელშეკრულება უნდა გააფორმოს ჯი-თი მოტორსთან კაფეტერიის მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად